გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება №19

2024 წლის 9 თებერვალი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს ,,დაირექტ დებიტ ჯორჯიასთვის'' (ს/კ 205130464), პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 9 ნოემბერს (N10/2023313306-20) შემოსულია შპს ,,დაირექტ დებიტ ჯორჯიას'' განცხადება, რომელშიც იჯარის ფორმით, დანართით წარმოდგენილი მისამართების შესაბამისად, თვითმომსახურების ტერმინალების სწრაფი ჩარიცხვის აპარატების განთავსების მიზნით, მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4 მიწის ნაკვეთი (თითოეული ფართობით 1 კვ.მ).

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის'' მიერ 2023 წლის 13 დეკემბრის N 483-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.03.677 - დან ფართობით - 1 კვ.მ (მისამართი: ქ. გორი, გორგასლის ქუჩის მიმდებარედ); საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 1400.00 (ათასოთხასი) ლარით.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის'' მიერ 2023 წლის 13 დეკემბრის N 483-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.18.601 - დან ფართობით - 1 კვ.მ (მისამართი: ქ. გორი, სტალინის ქუჩის მიმდებარედ (ტროტუარი)); საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 1400.00 (ათასოთხასი) ლარით.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2023 წლის 13 დეკემბრის N 483-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.24.380 ფართობით - 1 კვ.მ (მისამართი: ქ. გორი, ჭავჭავაძის ქუჩა); საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 1400.00 (ათასოთხასი) ლარით.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2024 წლის 22 იანვრის N 008-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.13.615 - დან ფართობით - 1 კვ.მ (მისამართი: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ); საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 1400.00 (ათასოთხასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი იჯარის ფორმით გადაცემა ადგილობრივ ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონების:

1) ს/კ 66.45.03.677 - დან ფართობით 1კვ.მ. (მისამართი: ქ. გორი, გორგასლის ქუჩის მიმდებარედ);

2) ს/კ 66.45.18.601 - დან ფართობი: 1კვ.მ. (მისამართი: ქ. გორი, სტალინის ქუჩის მიმდებარედ (ტროტუარი));

3) ს/კ 66.45.24.380 ფართობი: 1კვ.მ. (მისამართი: ქ. გორი, ჭავჭავაძის ქუჩა);

4) ს/კ 66.45.13.615 - დან ფართობით 1კვ.მ. (მისამართი: ქ. გორი, ცზხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ), პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემა, რისთვისაც „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ჯერ საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ ყოველწლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ"ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ხელშეკრულებით, თვითმომსახურების ტერმინალების სწრაფი ჩარიცხვის აპარატების განთავსების მიზნით გადასცეს შპს ,,დაირექტ დებიტ ჯორჯიას'' (ს/კ 205130464) გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება:

ა) ს/კ 66.45.03.677 - დან ფართობით 1კვ.მ. (მისამართი: ქ. გორი, გორგასლის ქუჩის მიმდებარედ);

ბ) ს/კ 66.45.18.601 - დან ფართობი: 1კვ.მ. (მისამართი: ქ. გორი, სტალინის ქუჩის მიმდებარედ (ტროტუარი));

გ) ს/კ 66.45.24.380 ფართობი: 1კვ.მ. (მისამართი: ქ. გორი, ჭავჭავაძის ქუჩა);

დ) ს/კ 66.45.13.615 - დან ფართობით 1კვ.მ. (მისამართი: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ),

2. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.03.677 - დან ფართობით - 1 კვ.მ (მისამართი: ქ. გორი, გორგასლის ქუჩის მიმდებარედ); საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს: 1400.00 (ათასოთხასი) ლარით.
3. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.18.601 - დან ფართობით - 1 კვ.მ (მისამართი: ქ. გორი, სტალინის ქუჩის მიმდებარედ (ტროტუარი)); საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს: 1400.00 (ათასოთხასი) ლარით.
4. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.24.380 ფართობით - 1 კვ.მ (მისამართი: ქ. გორი, ჭავჭავაძის ქუჩა); საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს: 1400.00 (ათასოთხასი) ლარით.
5. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.13.615 - დან ფართობით - 1 კვ.მ (მისამართი: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ); საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს: 1400.00 (ათასოთხასი) ლარით.
6. წლიური საიჯარო ქირა თითოეულ მიწის ნაკვეთზე განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარით (ჯამში 2400 ლარი).
7. ქონება, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაცემული იქნეს 2 (ორი) წლის ვადით.
8. ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთები გაცემული იქნეს თვითმომსახურების ტერმინალების, სწრაფი ჩარიცხვის აპარატების განთავსების მიზნით.
9. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას ,,მოიჯარის'' მიერ საკუთარი ხარჯებით. ასევე, თვითმომსახურების ტერმინალების, სწრაფი ჩარიცხვის აპარატების განთავსების დროს დაცული იყოს უსაფრთხოების ნორმები.
10. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

11. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე